



სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

11 თებერვალი 2025



N 68/ს

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

მცხეთის მუნიციპალიტეტში, სოფ. ქსანში სს „მინას“ მინისა და მინის პროდუქციის საწარმოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილებაზე (ახალი შხეფსაცივარის მოწყობა) სკრინინგის გადაწყვეტილების შესახებ

სს „მინას“ მიერ, გზმ-ის ჩატარების საჭიროების დადგენის მიზნით, სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში წარმოდგენილია მცხეთის მუნიციპალიტეტში, სოფ. ქსანში არსებული მინისა და მინის პროდუქციის საწარმოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილების (ახალი შხეფსაცივარის მოწყობა) სკრინინგის განცხადება.

2014 წლის პირველ მაისს სს „მინას“ მინისა და მინის პროდუქციის წარმოებაზე (ქსნის მინის ტარის ქარხნის ექსპლუატაციის პირობების შეცვლა) გაცემულია №21 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა და გარემოზე ზემოქმედების ნებართვა, ხოლო 2020 წლის 7 დეკემბერს, „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ 48-ე მუხლის მე-4 ნაწილის საფუძველზე – გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება (ბრძანება №2-1134). ამასთან, 2023 წლის 27 თებერვალს და 2024 წლის 24 ივლისს საწარმოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილებებზე გაიცა სკრინინგის გადაწყვეტილებები (ბრძანება №97/ს და №382/ს), რომელთა საფუძველზე, აღნიშნული ცვლილებები არ დაექვემდებარა გარემოზე ზემოქმედების შეფასებას.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, საწარმო მდებარეობს მცხეთის მუნიციპალიტეტში, სოფ. ქსანში, კომპანიის საკუთრებაში არსებულ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთებზე (ს/კ: 72.10.05.036, 72.10.05.229, 72.10.05.160; ჯამური ფართობი – 140 619 მ²), რომლებიც შემოღობილია კაპიტალურად, ბეტონის კონსტრუქციის ფილებით. საწარმოს აღმოსავლეთით, დაახლოებით 30 მეტრში, განთავსებულია სასაწყობე დანიშნულების კომერციული ფართები, ხოლო ჩრდილოეთით ტერიტორიას ესაზღვრება სს „ენერგო-პრო ჯორჯიას“ ქვესადგური. საწარმოს საზღვრიდან უახლოესი საცხოვრებელი სახლი დაშორებულია დაახლოებით 80 მეტრით, ხოლო მიმდებარედ, 500-მეტრიან რადიუსში, ფუნქციონირებს სხვადასხვა პროფილის სამრეწველო ობიექტები, მათ შორის, საკადასტრო საზღვრიდან დაახლოებით 41 მეტრში განთავსებულია ი/მ ბეჟანი ხიზანიშვილის ბეტონის რგოლების საწარმო, 72 მეტრში – შპს „ბრიქ ჯორჯიას“ ბეტონის ნაკეთობათა საწარმო, 95 მეტრში – შპს „ქართული სოკოს“ საწარმო, 170 მეტრში – შპს „ბიჯი ჯგუფის“ ბეტონის ნაკეთობათა საწარმო, 200 მეტრში – შპს „ლაიონ დეველოპმენტის“ სამშენებლო მასალების საწყობი, 220 მეტრში – შპს „გრინ სთოუნის“ ინერტული მასალის გადამამუშავებელი ობიექტი, ხოლო 250 მეტრში ი/მ ბაგრატ ხიზანიშვილის ბეტონის რგოლების საწარმო. უახლოესი ზედაპირული წყლის ობიექტი, მდ. ქსანი, მიედინება საწარმოს საკადასტრო საზღვრიდან

დაახლოებით 260 მეტრში, ხოლო მდ. მტკვარი – დაახლოებით 450 მეტრით. აღსანიშნავია, რომ სკრინინგის განცხადებითა და GPS კოორდინატებით წარმოდგენილი საწარმოს ტერიტორია (ს/კ: 72.10.05.036, 72.10.05.229, 72.10.05.160; ჯამური ფართობი – 140 619 მ²) არ შეესაბამება თანდართულ shp ფაილებს, სადაც ასახულია მხოლოდ 72.10.05.036 საკადასტრო ერთეული.

სკრინინგის განცხადების თანახმად, არსებული მდგომარეობით, საწარმოში მიმდინარეობს 2024 წლის 24 ივლისს გაცემული სკრინინგის გადაწყვეტილებით (ბრძანება №382/ს) გათვალისწინებული ე.წ. C სახარში ღუმელის სამონტაჟო სამუშაოები, რომლის ფარგლებში, გამოიკვეთა არსებული შხეფსაცივრის (კომპურა გამაციებელი) ადგილმდებარეობის ცვლილების საჭიროება. აღსანიშნავია, რომ შხეფსაცივარი წარმოადგენს მინის ტარის წარმოების ტექნოლოგიურ ციკლში ჩართულ დანადგარს, რომლის დანიშნულებას ღუმელების მუშაობის პროცესში ტემპერატურის რეგულირება, გაცხელებული ნამუშევარი წყლის გაციება და ხელახლა ტექნოლოგიურ ციკლში დაბრუნება. აღნიშნული წყალი ბრუნავს ჩაკეტილ სისტემაში, რომელიც სრულად ჰერმეტიზებულია. არსებული მდგომარეობით, საწარმოში განთავსებულია 400 მ³/სთ წარმადობის შხეფსაცივარი, რომელიც შედგება ორი უჯრედისგან (თითოეული – 200 მ³/სთ). ექსპლუატაციის პირობების ცვლილებით, დაგეგმილია ახალი, მაღალი ეფექტურობის და სიმძლავრის შხეფსაცივრის მონტაჟი, რომელიც განთავსდება ღუმელების უბნის სიახლოვეს, საწარმოო შენობის კედლის მიმდებარედ. ახალი შხეფსაცივარი წარმოდგენილი იქნება 3RHMP მოდელის, მცირე ზომის (13x13), დახურული კორპუსის მქონე დანადგარით, რომლის მოცულობა შეადგენს 500 მ³/სთ-ს და შედგება სამი უჯრედისაგან. შხეფსაცივარის ძირზე, გაციებული წყლის სისტემაში გადატუმბვისთვის, მოწყობა დაახლოებით 230 მ³ ფაქტობრივი მოცულობის (მუშა მოცულობა – 150 მ³) მქონე ბეტონის აუზი, ასევე, სატუმბი და მილსადენი სისტემა. უნდა აღინიშნოს, რომ მოცემულ ეტაპზე არსებული შხეფსაცივარის დემონტაჟი დაგეგმილი არ არის და მისი გამოყენება მოხდება ე.წ. C სახარში ღუმელის ექსპლუატაციაში გაშვებისას, ახალი შხეფსაცივარის მოწყობამდე, ხოლო მომავალში – საჭიროებისამებრ, სარეზერვოდ. აღსანიშნავია, რომ ექსპლუატაციის პირობების ცვლილება არ უკავშირდება საწარმოს ტექნოლოგიური ციკლის ცვლილებას.

წარმოდგენილი ინფორმაციის შესაბამისად, ექსპლუატაციის პირობების ცვლილებით დაგეგმილი ახალი შხეფსაცივრის მოწყობა არ იქნება დაკავშირებული მასშტაბურ სამშენებლო სამუშაოებთან და გაგრძელდება მაქსიმუმ ორი თვის განმავლობაში. სამშენებლო სამუშაოების პროცესში საჭირო მასალა საწარმოში შევა მზა სახით.

სკრინინგის განცხადების მიხედვით, საწარმოში წყალი გამოიყენება როგორც სასმელ-სამეურნეო, ისე ტექნიკური დანიშნულებით, რისთვისაც წლის განმავლობაში გათვალისწინებულია ჯამურად 98 550 მ³ წყლის მოხმარება. საწარმოში დაგეგმილი ცვლილებები არ არის დაკავშირებული წყალმომხმარების ცვლილებასთან, ხოლო ჩამდინარე წყლების მართვა ხორციელდება 2024 წლის 9 თებერვალს სააგენტოსთან შეთანხმებული ზედაპირული წყლის ობიექტში ჩამდინარე წყლებთან ერთად ჩაშვებულ დამაბინძურებელ ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები ჩაშვების (ზდჩ) ნორმების პროექტის შესაბამისად.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, შხეფსაცივრის მოწყობისათვის საჭირო სამშენებლო სამუშაოების მასშტაბის გათვალისწინებით, ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე მოსალოდნელი ზემოქმედება იქნება ხანმოკლე და უმნიშვნელო. რაც შეეხება ექსპლუატაციის ეტაპს, შხეფსაცივარი არ წარმოადგენს გაფრქვევის წყაროს, ხოლო საწარმო საქმიანობას ახორციელებს 2024 წლის 17 დეკემბერს

სააგენტოსთან შეთანხმებული ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის (ზდგ) ნორმების პროექტის შესაბამისად.

სკრინინგის განცხადების მიხედვით, შხეფსაცივრის მოწყობისათვის საჭირო სამშენებლო სამუშაოების მასშტაბის გათვალისწინებით, ხმაურის გავრცელებით მოსალოდნელი ზემოქმედება იქნება ხანმოკლე და უმნიშვნელო, ხოლო რაც შეეხება ექსპლუატაციის ეტაპს, ვინაიდან, ახალი შხეფსაცივარი წარმოდგენილია დახურული ტიპის კონსტრუქციით, ხოლო არსებული შხეფსაცივარი გაჩერდება და მისი გამოყენება მოხდება მხოლოდ სარეზერვოდ, დაგეგმილი ცვლილება არ იქნება დაკავშირებული ხმაურის ახალი წყაროების დამატებასთან და ხმაურის გავრცელებით მოსალოდნელი ზემოქმედების ცვლილებასთან.

წარმოდგენილი ინფორმაციის შესაბამისად, დაგეგმილი ექსპლუატაციის პირობების ცვლილება არ უკავშირდება საწარმოში წარმოქმნილი ნარჩენების სახეობრივ და რაოდენობრივ ცვლილებას, ხოლო ობიექტზე წარმოქმნილი ნარჩენების მართვა ხორციელდება საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან შეთანხმებული ნარჩენების მართვის გეგმით. აღსანიშნავია, რომ სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის ინფორმაციით, საწარმოში სახიფათო ნარჩენების სათავსო არ არის მოწყობილი სამინისტროსთან შეთანხმებული ნარჩენების მართვის გეგმის შესაბამისად.

სკრინინგის განცხადების მიხედვით, საწარმო არ მდებარეობს არქეოლოგიური და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების, ასევე, დაცული და ტყით მჭიდროდ დაფარული ტერიტორიების სიახლოვეს, სადაც გაბატონებულია საქართველოს „წითელი ნუსხით“ დაცული სახეობები. ობიექტი განთავსებულია ანთროპოგენური ზემოქმედებით სახეცვლილ გარემოში, სამეწარმეოდ ათვისებულ ტერიტორიაზე, რომელიც თავისუფალია მცენარეული საფარისაგან. საწარმოს სიახლოვეს არ ფიქსირდება ცხოველების ბინადრობისათვის ხელსაყრელი პირობები. ამასთან, ვინაიდან, საწარმოს ტერიტორია ესაზღვრება ნასტაკისის ნაქალაქარის ბაზილიკასა და სამაროვანს, ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში, სკრინინგის განცხადება გადაეგზავნა სსიპ „საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოს“. საპასუხო კორესპონდენციის თანახმად, გამომდინარე იქიდან, რომ ექსპლუატაციის პირობების ცვლილებით გათვალისწინებული ახალი შხეფსაცივრის მოწყობა დაგეგმილია დამცავი კედლით შემოფარგლულ ტერიტორიაზე, დაგეგმილი სამუშაოები ზეგავლენას ვერ მოახდენს არქეოლოგიური ობიექტის მდგომარეობაზე.

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, სკრინინგის განცხადება გამოქვეყნდა გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე და გადაიგზავნა მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის საინფორმაციო დაფაზე განთავსების მიზნით. ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე, საზოგადოების მხრიდან, აღნიშნულ საქმიანობასთან დაკავშირებით, წერილობითი შენიშვნები და მოსაზრებები სააგენტოში არ ყოფილა წარმოდგენილი.

სკრინინგის განცხადების შესწავლით დგინდება, რომ ექსპლუატაციის პირობების ცვლილების სპეციფიკის, მასშტაბისა და მახასიათებლების გათვალისწინებით, დაგეგმილი ცვლილება არ იქნება დაკავშირებული გარემოს სხვადასხვა კომპონენტებზე მოსალოდნელი ზემოქმედების გაზრდასთან.

ზემოაღნიშნული კრიტერიუმების გათვალისწინებით, „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-5 მუხლის მე-12 ნაწილისა და ამავე კოდექსის მე-7 მუხლის მე-6 ნაწილის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. მიღებულ იქნეს სკრინინგის გადაწყვეტილება, რომ მცხეთის მუნიციპალიტეტში, სოფ. ქსანში სს „მინას“ მინისა და მინის პროდუქციის საწარმოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილება (ახალი შხეფსაცივარის მოწყობა) არ დაექვემდებაროს გარემოზე ზემოქმედების შეფასებას;
2. სს „მინა“ ვალდებულია საქმიანობა განახორციელოს 2020 წლის 7 დეკემბერს გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით (ბრძანება №2-1134) განსაზღვრული პირობების შესაბამისად, წარმოდგენილი ექსპლუატაციის პირობების ცვლილების გათვალისწინებით;
3. სს „მინა“ ვალდებულია, ექსპლუატაციის პირობების ცვლილებამდე, უზრუნველყოს საწარმოს ტერიტორიის დაზუსტებული shp ფაილების სააგენტოში წარმოდგენა;
4. სს „მინა“ ვალდებულია, ექსპლუატაციის პირობების ცვლილებამდე, უზრუნველყოს სახიფათო ნარჩენების სათავსოს მოწყობის შესახებ ინფორმაციის სააგენტოში წარმოდგენა, „სახიფათო ნარჩენების შეგროვებისა და დამუშავების სპეციალური მოთხოვნების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 29 მარტის №145 დადგენილების შესაბამისად;
5. სს „მინასთვის“ ზემოაღნიშნული პირობები წარმოადგენს 2020 წლის 7 დეკემბერს გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით (ბრძანება №2-1134) განსაზღვრული პირობების განუყოფელ ნაწილს და მათი შესრულება სავალდებულოა;
6. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს სს „მინას“ და სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრს;
7. ბრძანება ძალაში შევიდეს სს „მინას“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
8. სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემიდან 5 დღის ვადაში გადაწყვეტილება განთავსდეს გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე და მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის საინფორმაციო დაფაზე;
9. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ვასილ გედევანიშვილი



სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

<https://edocument.ge/mea/public/#/68-21-4-202502111329>

